

ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული სტრატეგია 2014 წელი, ივლისი (2014-2016)

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული სტრატეგიის მიზანია სახელმწიფოს დამოკიდებულების განსაზღვრა შინაური (როგორც ფერმის, ისე პარტნიორი, იგივე კომპანიონი) ცხოველების მიმართ. ამ მიზნის მიღწევა მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი პერსპექტივებიდან გამომდინარე, რომლის ქვაკუთხედსაც ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს.

ამ მიმართულებით მოქმედების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად მიგვაჩნია ცხოველთა კეთილდღეობის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს მისადაგებული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება. საკანონმდებლო ბაზის ადაპტაცია/განვითარება შეიძლება იქნას მიღწეული ევროპის საბჭოს ფარგლებში აღებული ვალდებულებების განხორციელების გზითაც. ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული სტრატეგია უნდა ემყარებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედება კანონმდებლობის, ინსტიტუციური მოწყობისა და სხვა პოლიტიკური ინსტრუმენტების შემუშავებას და არსებულის დახვეწას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგია ემყარება ძირითად ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს, რომელიც გაუმართლებლად მიიჩნევა ცხოველებისათვის უმიზნო ტკივილის და სტრესის მიყენებას. მოცემული სტრატეგია ასევე ემყარება პრინციპებს, რომლებიც გულისხმობს ცხოველებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების სტანდარტების დაწესებას და ცხოველთა ჭარბი პოპულაციების ჰუმანურ მართვას.

მსოფლიოში აღიარებული კლასიფიკაციის მიხედვით ცალკეა გამოყოფილი კომპანიონი ცხოველები (მალი, კატა PETs). მათ მიმართ სასტიკი მოპყრობა კიდევ უფრო დიდი დანაშაულია, რადგან ისინი ადამიანის მეგობრები არიან, ხშირად განიცდებიან როგორც ოჯახის წევრები და მათ მიმართ სისასტიკე ზნეობრივად დამანგრეველი შედეგის მომტანია.

ცხოველთა კეთილდღეობის სტრატეგიის საფუძვლები

ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა წარმოადგენს სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ცხოველთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების სათანადო დაფინანსებას, რათა მათ შეძლონ თავიანთი ფუნქციების - ზედამხედველობასა და კონტროლის - ეფექტიანად განხორციელება. სპეციალიზირებული სახელმწიფო უწყება მჭიდრო კოორდინაციაში უნდა იმყოფებოდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ჯანდაცვის სამინისტროსთან, ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან. ამავე დროს, უწყების ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა და კომპანიონი ცხოველების პოპულაციის კონტროლი.

სტრატეგიის მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია ამ პროცესში მოსახლეობის, სახელმწიფოს და დარგობრივი ექსპერტების ჩართვა, რადგან ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს

მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, მისი ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლება. ამავე დროს, ჰიპერპოპულაციის მართვის მონიტორინგის ობიექტურობისა და სწორი პრაქტიკული მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, შეიქმნას პროფესიული კადრებით დაკომპლექტებული საზედამხედველო სამსახური, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს თვითმმართველობის და სხვა პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს, რომელთაც სტრატეგიის უშუალო განხორციელება ევალებათ.

სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია არასამთავრობო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც პროცესის გამჭვირვალობის და შესაძლო კორუფციის პრევენციის წინაპირობას წარმოადგენს.

ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიზნები

ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული სტრატეგიის მიზანია შინაურ ცხოველთა (როგორც ფერმის, ასევე კომპანიონი ცხოველების) კეთილდღეობის ერთიანი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს:

- ქვეყანაში ცხოველის, როგორც ცოცხალი არსების საარსებო გარემოს ხარისხის დამკვიდრებას;
- ცხოველების უსაფრთხოებას, სასიცოცხლო ფუნქციონირებას და მათი საარსებო გარემოს ხარისხის უზრუნველყოფას ცხოველთა კეთილდღეობის მსოფლიოში აღიარებული პრინციპების გათვალისწინებით.
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციას, ცხოველთა პოპულაციის მართვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას და მისი ინტერესების გათვალისწინებას.

სტრატეგიის შემუშავების კიდევ ერთი მიზანია განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები, საკანონმდებლო ინიციატივებისა და ცვლილებების ჩათვლით, რათა ადამიანის და ცხოველის თანაცხოვრების პირობებში მოხდეს, ერთის მხრივ ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების, ხოლო მორეს მხრივ ცხოველთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლების და მათი უსაფრთხოების დაცვა გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის მეშვეობით.

ძირითადი პრობლემები და მათის გადაწყვეტის გზები

არსებულ პრობლემებს შორის უმთავრესია:

1. ინსტიტუციებისა და სამართლებრივი ბაზის ფაქტიური არარსებობა, არსებული კანონების არასათანადო აღსრულება.
2. დღეს არსებული საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, ითვალისწინებს მხოლოდ გარეული ცხოველების დაცვას. შესაბამისად, ამ სფეროდან სრულიად ამოვარდნილია კომპანიონი ცხოველები (Pets).

რაც შეეხება კანონს “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის,

ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ”, საეჭვოა, მან მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღოს ცხოველთა კეთილდღეობის კუთხით. ცხოველთა კეთილდღეობა ასევე არ არის ნახსენები სხვა დოკუმენტშიც - საქართველოს ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა 2013-2018 წლებისთვის

3. დღეს არ არსებობს კანონმდებლობა რომელიც დაარეგულირებს კომპანიონი ცხოველის მეპატრონის უფლება-მოვალეობებს და, გარკვეულწილად, დაიცავს როგორც ცხოველის, ასევე მისი მეპატრონისა და საზოგადოების ინსტერესებს. სასწრაფოდ მისაღებია კანონი შინაური ცხოველების მეპატრონის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ კონვენციებთან. კონკრეტულად ვგულისხმობთ კომპანიონ ცხოველთა დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციას (European Convention for the Protection of Pet Animals).

ცნობისათვის, 1987 წელს მიღებული საბუთი წარმოადგენს ევროპის საბჭოს კონვენციების პაკეტის ნაწილს, რომელიც ხუთი კონვენციისაგან შედგება და ერთიანად ქმნის სრულყოფილ საკანონმდებლო ბაზას ცხოველთა კეთილდღეობის საკითხების ძირეულად მოგვარებისათვის. ამ პაკეტის სხვა ოთხი კონვენცია არეგულირებს ცხოველთა ტრანსპორტირების, მოშენების, დაკვლის (კვების მრეწველობის კუთხით) და საცდელი მიზნებისათვის გამოყენების ყველა საკითხს. (იხ.დანართი 1)

ცხოველთა დაცვის ევროპის კონვენცია, რომელიც ასევე ეხება ფერმის ცხოველებს, უაღრესად მშვენილოვანია ფერმერული მეურნეობების განვითარების კუთხით, რაც დღეს აუცილებელი და აქტუალურია ჩვენ ქვეყანაში. მიგვაჩნია, რომ ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის უმჯობესია სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რათა თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი შედეგები და ცხოველთა კეთილდღეობასთან შეუსაბამო ქმედებები.

4. საქართველოში არ გვაქვს ცხოველის კეთილდღეობის სრულყოფილი დეფინიცია. დღეისათვის კანონმდებლობაში მომზადებული ცვლილებები ითვალისწინებს ჯარიმებს ცხოველთა კეთილდღეობის წესების დარღვევის შემთხვევაში, თუმცა დეფინიცია არ არის გამოკვეთილი. ამ ტერმინის განმარტება აუცილებელია უზუსტესი კრიტერიუმების და იმ პირობების ჩამონათვალით, რომლებიც აუცილებელია ცხოველის კეთილდღეობის გარანტიების შესაქმნელად (Animal Welfare Act).
5. ზემოხსენებულ დოკუმენტში გაცხადებულია რომ ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის საკითხის მოგვარება 2020 წლამდე გადაიდება. ძირითადი კრიტერიუმების განსაზღვრის, კანონმდებლობის მიღების და აღსრულების გადადებამ 2020 წლამდე შეიძლება მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს, თუნდაც ევროინტეგრაციის კუთხით. არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის ფაქტი, რომ ცხოველთა კეთილდღეობა უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ღირებულებების თვალსაზრისით. უკონტროლობამ და კანონის არარსებობამ შეიძლება მიგვიყვანოს შეუქცევად შედეგებამდე.

6. არ არსებობს პატრონიან კომპანიონ ცხოველებზე პასუხისმგებელი ინსტიტუცია, მიუხედავად იმისა, რომ ცხოველთა ამ ჯგუფს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. მოგეხსენებათ, რომ კომპანიონი ცხოველების ჰიპერპოპულაცია უდიდეს პრობლემას წარმოადგენს მსოფლიოში, სწორედ არასწორი კონტროლის მეთოდების და საკმარისად მკაცრი კანონმდებლობის არ არსებობის გამო.
7. დღეს არსებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით უსახლკარო ცხოველების ჰიპერპოპულაციაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია და მათ საზრუნავს წარმოადგენს. უმეტეს შემთხვევაში ეს პრობლემა დასუფთავების სამსახურების პრეროგატივას წარმოადგენს, რაც ასევე არასწორი მიდგომაა რომელიც საბჭოთა მემკვიდრეობის ნაწილია. დასუფთავების სამსახურის როლი ამ სფეროში განისაზღვრება ნარჩენების უტილიზაციით, ვინაიდან ცნობილია, რომ ცხოველთა ინტენსიური გამრავლება სწორედ ნარჩენების დაგროვების ხარჯზე ხდება. როდესაც არ არსებობს ერთიანი, მსოფლიო სტანდარტებთან მისადაგებული, შედეგზე ორიენტირებული, ჰუმანური და რაც მთავარია, კანონზე დაფუძნებული ამ პრობლემის ეფექტურად მოგვარების სახელმწიფო სტრატეგია, ყველა თვითმმართველობას შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილებით განსაზღვროს, როგორ უნდა იმოქმედოს არსებული პრობლემების გადასაჭრელად. სამწუხაროდ, უმეტესწილად, ეს გადაწყვეტილებები არამარტო არაჰუმანურია, არამედ არღვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ მუხლს (259 მუხლი) - ცხოველისადმი სისასტიკის შესახებ.
8. პატრონიანი კომპანიონი ცხოველები საერთოდ კანონგარეშეა დარჩენილი. დღეს არსებული საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ, ითვალისწინებს მხოლოდ გარეული ცხოველების დაცვას. შესაბამისად, ამ სფეროდან სრულიად ამოვარდნილია კომპანიონი ცხოველები (Pets) . ეს გარემოება ისედაც მომხმარებელურად განწყობილ მოსახლეობას იმის სრულ განცდას უქმნის, რომ ეს ცხოველები მათი საკუთრებაა, რომ მათ უფლება აქვთ მოექცნენ ცხოველებს ისე, როგორც თავად ჩათვლიან სწორად. გასათვალისწინებელია, რომ დღეს ცხოველი აღიარებულია მგრძნობიარე არსებად და ტერმინი „მეპატრონე“ გაუმართლებლადაა მიჩნეული და შეცვლილია ტერმინით „მეურვე“.

საბოლოოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას არსებული კანონმდებლობის არასათანადო აღსრულება წარმოადგენს.

ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური წინაპირობები

საქართველო არ არის მიერთებული კომპანიონ ცხოველთა დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციასთან; ასევე არ არის აღიარებული ცხოველთა კეთილდღეობის აქტი, რომელსაც გაერთიანებული ევროპის პრაქტიკული პოლიტიკა ემყარება. ქართული სახელმწიფოს მიერ განცხადებული ევროინტეგრაციის კურსი მოითხოვს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპულ პრინციპებთან, და საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდოლოგიებთან. მიუხედავად

იმისა, რომ ევროპის კონვენციები არ არის სამართლებრივად სავალდებულო ინსტრუმენტები, მათი გამოყენება შესაძლებელია ეროვნული კანონმდებლობის განვითარება / ადაპტაციისათვის.

ასევე შესაძლებელია რომ ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნულ პოლიტიკას საფუძველად დაედოს ევროპის საბჭოს კომპანიონი ცხოველების დაცვის კონვენცია. ევროპის საბჭოს კომპანიონი ცხოველების დაცვის კონვენცია ადასტურებს კანონმდებლობით უზრუნველყოფილ პასუხისმგებლობას კომპანიონი ცხოველების მიმართ მისი მიზანია ჩამოაყალიბოს საბაზისო და ერთობლივი სტანდარტები, რათა განსაზღვროს კომპანიონი ცხოველების მფლობელების ძირითადი დამოკიდებულები და მოქმედებები.

კონვენციამ სრულად გაარკვია ცხოველების ყოლის პირობები და მფლობელთა პასუხისმგებლობა, მათ შორის ცხოველთა შენახვის, გაწრთვნის, გამრავლების, ჰუმანური მოკვდინების, ასევე კომერციული ვაჭრობის საგნად გამოყენების კუთხით. ცალკე ადგილი აქვს დათმობილი კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო მოქმედებების წარმართვას. საყურადღებოა, რომ კონვენცია განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ცხოველებით ვაჭრობის და მათი გამრავლების რეგულირების საკითხებს, რაც უსახლკარო ცხოველების რაოდენობის რეგულირების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსახლკარო ცხოველების საკითხებს, რაც აისახება დეტალურად გაწერილ ქმედებებში ერთის მხრივ უსახლკარო ცხოველების დასაცავად და მეორეს მხრივ, მათი გამრავლების კონტროლის დასაწესებლად. კონვენცია სრულად ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და განახორციელებას უსახლკარო ცხოველების კონტროლს ისეთი მეთოდებით, რომლების გამორიცხავს მათ წამებას და ტკივილის მიყენებას. კერძოდ, კონვენციასთან მიერთებით აღებულ იქნება პასუხისმგებლობა, რომ უსახლკარო ცხოველების დაჭერა მოხდება მინიმალური ძალის გამოყენებით, ტანჯვის გარეშე და მათი განადგურების აუცილობლების შემთხვევაში ჰუმანური მოკვდინებით.

საყურადღებოა, რომ კონვენცია ცალკე ადგილს უთმობს ცხოველთა მესაკუთრეების პასუხისმგებლობას. ეს საკითხი განსაკუთრებით ჩვენშია აქტუალური, რადგან მესაკუთრეთა უმრავლესობის არ არქვს წარმოდგენაც კი, იმ მოვალეობებზე, რომელსაც მათ კომპანიონი ცხოველის ყოლა აკისრებს. მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრა მოითხოვს საკანონმდებლო ბაზის არსებობას, ხოლო ამ ბაზის არარსებობა კომპანიონ ცხოველთა მიმართ სისტეკეს ჩვენი ყოფის ყოველდღიურ ნაწილად აქცევს. კონვენცია ამ მხრივ ადასტურებს, რომ კომპანიონი ცხოველების მესაკუთრეების პასუხისმგებლობა ასევე საინფორმაციო – საგანმანათლებლო და სატრენინგო მოქმედებების შედეგად უნდა ამაღლდეს. ცოდნის ამაღლება სარეგულაციო და აღმკვეთ ღონისძიებებზე ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის. კონვენციასთან მიერთება ასევე მოგვცემს საშუალებას, აღკვეთოთ კომპანიონი ცხოველების მიტოვება – გაგდება და მოპარვა, რაც ასე გავრცელებულია ჩვენში. გარდა ამისა, შეიქმნება უსახლკარო ცხოველების გეგმიური სტერილიზაციის შესაძლებლობა პოპულაციის კონტროლის დასაწესებლად

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები არ წარმოადგენს სამართლებრივად სავალდებულო ინსტრუმენტებს, მათი, როგორც საფუძვლის, გამოყენება შესაძლებელია ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული პოლიტიკის, პროგრამების და მართვის მოდელების შესამუშავებლად. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო დონეზე კონვენცია საშუალებას იძლევა, შეიქმნას ქმედითი მექანიზმები ადგილობრივი მმართველობის დონეზე, რომლებიც საერთაშორისო და სახელმწიფო დონეზე აღიარებულ სტანდარტებზე

დაფუძნებულ, ერთიან მოქმედებებს გაატარებენ ცხოველთა კეთილდღეობის და უსახლკარო ცხოველების კონტროლის მხრივ.

ცხოველთა კეთილდღეობის კუთხით საერთაშორისო კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ასევე წარმოადგენს საყურადღებო საერთაშორისო აქტს. კონვენციის ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების დეტალები გაწერილია ბიომრავალფეროვნების ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელშიც ცვლილებების შეტანა განხილვის პროცესშია და იგი წარმოადგენს საქართველოს მთავრობს კიდევ ერთი პოლიტიკურად პრიორიტეტულ დოკუმენტს.?(გადასამოწმებელია)

საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ მზადაა ითანამშრომლოს ყველა საერთაშორისო ინსტიტუტებთან და დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის ადგილობრვ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა უზრუნველყოს გარემოს მართვა, ცხოველთა სამყაროს დაცვა, შენარჩუნება და განვითარება, და ყველაფერი ეს საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია.

ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ ცხოველთა დაცვა და პოპულაციის მართვა უნდა ხდებოდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, მრავალმიზნობრივი გეგმების მიხედვით, რომლებიც უზრუნველყოფენ პოტენციურად საზიანო ქმედებების თავიდან აცილებასა და ადგილობრივი დონეზე მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესში ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე და არა მხოლოდ ადგილობრივი მხარეები. მნიშვნელოვანია, რომ ეფექტიანი ჩართულობის მისაღწევად დაინტერესებულ მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უფლებამოსილებები. ასევე, უნდა შემუშავდეს და დარეგულირდეს ის საშუალებები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნულის მიღწევას დეცენტრალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით.

ცხოველთა კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხოველთა კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს მსოფლიოში აღიარებული ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპებიდან, როგორც ფერმის ასევე კომპანიონ ცხოველების მიმართ. ეს პრინციპები ყველგან უნდა ემყარებოდეს აღიარებულ ხუთ თავისუფლებას:

1. შიმშილისა და წყურვილისგან თავისუფლება - სუფთა წლის და ჯანმრთელი საკვების ხელმისაწვდომობა.
2. დისკომფორტისგან თავისუფლება - დამაკმაყოფილებელი გარემოს უზრუნველყოფა, თავშესაფრისა და კომფორტული დასვენების სივრცის ჩათვლით.
3. ტკივილის, ავადმყოფობისა და ჭრილობებისგან თავისუფლება - დროული დიაგნოზისა და მკურნალობის გზით თავიდან აცილება.
4. მისი სახეობისთვის დამახასიათებელი ჩვეული ქცევის განხორციელების თავისუფლება - საკმარისი სივრცის, სათანადო საშუალებების და მისივე სახეობის ცხოველების კომპანიონ უზრუნველყოფა.
5. შიმშილისგან და მწუხარებისგან თავისუფლება - პირობების და მოვლის უზრუნველყოფა, რომელიც გამორიცხავს მენტალურ ტანჯვას.

ფერმის ცხოველების კეთილდღეობის აქტი და კანონმდებლობა ასევე ამ ხუთი თავისუფლების საფუძველზე უნდა შეიქმნს.

კომპანიონი ცხოველების პოპულაციის ზრდის პირობებში, მათი სიცოცხლის ხარისხისა და ხუთი თავისუფლების უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

- მდგრადი მართვა.
- პოპულაციის წონასწორობის შენარჩუნება.
- უკონტროლო გამრავლების აღმოფხვრა.
- პასუხიმგებლობიანი მეპატრონეობის კანონის შემუშავება და აღსრულებსი უზრუნველყოფა.
- უსახლკარო ცხოველების დაჭერა, სტერილიზაცია, აცრა და უკან გაშვება აღიარებულ უნდა იქნას უსახლკარო ცხოველთა პოპულაციის მართის ერთადერთ მეთოდად. აღნიშნული პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს პოპულაციის მართვაში მონაწილე ყველა სუბიექტი: სახელმწიფო უწყებები, კერძო ორგანიზაციები, ადგილობრივი თემები და სხვ.

პოპულაციის მართვის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას მიმდებარე ეკოსისტემების როლი ეკოლოგიური წონასწორობაში ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე. ეს მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მართვასთან დაკავშირებულმა გადაწყვეტილებებმა, შესაძლოა, გამოიწვიონ აღნიშნული წონასწორობის პოპულაციის მართის პროცესში მონაწილე ყველა უწყების სტრატეგია და გეგმა უნდა ითვალისწინებდეს კომპანიონი ცხოველების ფუნქციურ დანიშნულებას და განხორციელებულ იქნას შეატყვისი სიფრთხილით.

კომპანიონი ცხოველების უკონტროლო და უმიზნო მასობრივი მოკვლის შემთხვევაში ირღვევა ურბანული გარემოს ბიოლოგიური წონასწორობა. შედეგად ვიღებთ მღრღნელების პოპულაციის ზრდას, რასაც მოსდევს დაავადებათა გავრცელება. ასევე, როდესაც ტერიტორია დაუცველი რჩება, ხოლო საკვები ხელმისაწვდომი, იზრდება გარეული ცხოველების დასახლებული პუნქტების მიმართულებით გადაადგილების ალბათობა, საკვების მოპოვების მიზნით. ეს კი ქმნის ტყიდან დაავადებათა გავრცელების საშიშროებას..

ფინანსების არაეფექტური გამოყენება:

ჰიპერპოპულაციის მართვის ერთიანი სტრატეგიის არარსებობამ და უსახლკარო ცხოველების მოკვდინების მეთოდის უალტერნატივო გამოყენებამ დაამტკიცა, რომ ეს მეთოდები სრულიად არაეფექტურია. შედეგი ერთმნიშვნელოვნად არამდგარადია. უსახლკარო ცხოველების უალტერნატივო მოკვდინების მეთოდი ამავე დროს ქმნის დაავადებათა გავრცელების საშიშროებას, უმართავს ხდის პროცესებს, იწვევს და ზრდის ცხოველთა მიგრაციას.

მსოფლიოში არსებული ცხოველთა დაცვის რეკომენდაციებში ერთმნიშვნელოვნად მითითებულია სტერილიზაცია-კასტრაცია-ვაქცინაცია-უკან დაბრუნების მეთოდი, როგორც ცხოველების პოპულაციის მართვის ერთადერთი ეფექტური მეთოდი (იხ.დანართი ICAMAM დოკუმენტი). ამავე დროს, ათწლეულების მანძილზე ჩვენი სახელმწიფო ხარჯავდა მილიონებს, რათა არაეფექტური მეთოდებით გადაეჭრა პრობლემა, რაც დამატებით ზრდიდა კორუფციის შესაძლებლობას.

რამდენიმე მუნიციპალიტეტის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცხოველთა მოკვდინების ნაცვლად სტერილიზაცია-კასტრაცია-ვაქცინაცია-უკან დაბრუნების მეთოდის გამოყენებამ მდგრადი შედეგი გამოიღო. თუმცა საჭიროა გაცილებით მკაცრი და ზუსტი პოლიტიკის შემუშავება, ამ საკითხთან მომიჯნავე სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობა და დრო, რათა დავინახოთ ამ მეთოდის უპირატესობა.

სახელმწიფო სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები

სტრატეგიული მიზანი 1

სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს.

1. მისაღებია ცხოველთა კეთილდღეობის ერთიანი დოკუმენტი (Animal Welfare Act), რომელიც მოიცავს როგორც ფერმის, ისე გარეული და კომპანიონი ცხოველების ინტერესებს.
2. ევროპული კონვენციების საფუძველზე მისაღებია კომპანიონ და ფერმის ცხოველების პასუხისმგებლობიანი მეპატრონეობის კანონი.
3. კანონით უნდა განისაზღვროს კომპანიონი ცხოველების ჯგუფზე უფლებამოსილი ორგანო.
4. შესამუშავებელია ახალი რეგულაციები, რომლებიც შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე ეროვნულ დონეზე არსებულ, დარგთან დაკავშირებულ ქვეყნის სხვა კანონმდებლობასთან. მათ შორის უნდა განისაზღვროს:
 - > პატრონიანი, უპატრონო, მიკედლებული, მოხეტიალე ცხოველების სტატუსები
 - > პატრონის და მემკედლებლის უფლება-მოვალეობები.
 - > კომპანიონი ცხოველის ზუსტი დეფინიცია, შედგეს იმ ცხოველების სია, რომლებიც ამ კატეგორიაში მოიაზრება.
 - > კერძო სექტორში - ცხოველის მფლობელი/მეპატრონე, მიმკედლებელი, მოქალაქე, ფიზიკური და იურიდიული პირი (ბიზნეს ოპერატორების შემთხვევაში – გამმრავლებელი, გამყიდველი, გადამყიდველი და.ა.შ)

აუცილებელია:

1. შემუშავდეს გამრავლების და ასევე გამმრავლებლების საქმიანობის მკაცრი რეგულაცია, ცხოველთა კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე და ასევე იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს პოპულაციის მართვა. მეპატრონეობისთვის ასევე უნდა იყოს დაწესებული ნორმები და გადასახადები, იგივე მიზნით. ამ რეგულაციის არარსების და მისი მკაცრი აღსრულების გარეშე, სახელმწიფო ვერ გადაჭრის პოპულაციის მართვის პრობლემას. წესები უნდა იყოს მკაცრი, ხოლო მათი აღსრულების მექანიზმები დახვეწილი და კონტროლირებადი.

2. დაწესდეს გადასახადები - ცხოველის მფლობელთათვის წლიური გადასახადი არ უნდა იყოს მაღალი, თანხები მოხმარდება პოპულაციის მართვის პროგრამის დასაფინანსებლად. მიკედელელებული, თავშესაფრიდან ან ქუჩიდან აყვანილი ცხოველის მფლობელი სასურველია გათავისუფლდეს გადასახადებისგან, რათა ხელი შეეწყოს ქუჩის, ან თავშესაფარში მოხვდრილი ცხოველებისთვის პატრონის მოძიებას. ასეთი ცხოველების მოძიება - ჩიპირება, ან ტატუირება - უნდა ხდებოდეს ფასდაკლებით, ან თავშესაფრის ხარჯზე. ასევე ფასდაკლებით უნდა ხორციელდებოდეს მათი სტერილიზაცია, ხოლო სახელმწიფო თავშესაფრიდან აყვანილი ცხოველი თავშესაფრის ხარჯზე უნდა სტერილიზდებოდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ამ ცხოველების გამრავლების შესაძლებლობა.
3. ბიზნეს ოპერატორებს, რომლებიც დაკავებული არიან შინური (პარტინიორი) ცხოველების გამრავლებით, დაუწესდეს მკაფიო და ცხოველთა კეთილდღობის პრინციპებიდან გამომდინარე წესები, გამრავლებსი მკაცრი რეგულაციით და გადასახადებით, კანონი უნდა ითვალისწინებდეს უკანონო გამრავლების აღკვეთას (რაც მომგებიანი უნდა გახდეს თვით ბიზნეს ოპერატორებისთვის), რადგან ასეთი რეგულაციები ემსახურება მათი ბიზნესის დაცვას შავი ბაზრისგან. კანონი მკაცრად უნდა არეგულირებდეს კომპანიონი ცხოველების (მალი, კატა) გამრავლებას, გაყიდვას, განსაკუთრებით აუცილებელია ჰიპერპოპულაციის პირობებში. გამრავლების უფლება, შესაძლოა ჰქონდეს მხოლოდ ბიზნეს ოპერატორად დარეგისტრირებულ პირებს, მათი მიერ გასხვისებული ცხოველის გამრავლება უნდა იკრძალებოდეს, ან მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით ან მაღალი გადასახადით იყოს დაშვებული, გაყიდვა იბეგრებოდეს, ან ლიცენზიის გარეშე იკრძალებოდეს .
- აუცილებელია **კომპანიონი** ცხოველების ზუსტი სარეგისტრაციო ბაზის შექმნა, ამისთვის ყველაზე სწორ მეთოდად მიგვაჩნია საყოველთაო აუცილებელი ჩიპირება, დარგოლვა (ან ტატუირება). ეს პირობა აუცილებლად უნდა რეგულირდებდეს კანონით დღეს არც ერთი ცხოველი არ არის დაცული საკუთარი პატრონის მხრიდან გულგრილ დამოკიდებულებისგან - მიტოვება, ქუცაში გაგდება, დაკარგვა. კანონის შემუშავების შემდეგაც, კანონის აღსრულებისთვის პირველ რიგში ეს აღრიცხვიანობაა მოსაწესრიგებელი
 - რეგისტრაცია უნდა წარმოებდეს ახალშექმნილი ინსტიტუციის მეშვეობით და ყველა მონაცემი ინახებოდეს ან ინსტიტუციის მონაცემთა ბაზაში.
4. თავშესაფრების უფლება მოვალეობები: ზუსტად განისაზღვროს თავშესაფრების როგორც ჭარბი პოპულაციის მართვის რგოლის როლი, დაწესდეს სანიტარული ჰიგიენური ნორმები და აქ მოთავსებული ცხოველთა კეთილდღეობის ზუსტი კრიტერიუმები. თავშესაფარმა უნდა უზრუნველყოს ცხოველების სტერილიზაცია, მათთვის შეძლებისდაგვარად პატრონების მოძიება და გასხვისებული ცხოველების საცხოვრებელი პირობებისა და ჯანმრთელობის შემდგომი მონიტორინგი. უნდა დაწესდეს მკაცრი წესები ცხოველთა კეთილდღეობის ყველა პირობის გათვალისწინებით - ჰიგიენის, ცხოველთა შენახვის, მოკვდინების ვადების და ჰუმანური მეთოდების ზუსტი გაწერით. ყველა თავშესაფრისთვის უმთავრესი ფუნქცია სტერილიზაცია და გასხვისების პროგრამის გატარება უნდა აგახდეს. თავშესაფრის მაკონტროლებული ორგანოს ფუნქცია ასევე უნდა ითავოს ახალმა ინსტიტუციამ, რომლის კომპეტენციაში შევა კომპანიონ ცხოველთა პოპულაციის მართვა. თავშესაფრიდან გასხვისებული ცხოველი უნდა იყოს სტერილური, ან ახალმა პატრონმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ შემდგომში არ გაამრავლებს მას. ეს სისტემა უნდა იყოს მკაცრად რეგულირებული და დაცული რეგისტრაციის და ჩიპირების მეთოდით. საჭიროა

გასხვისების ხელშეკრულების იურიდიული ძალის მქონე ფორმის შემუშავება, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი მეპატრონის ვალდებულებები. სასურველია მომავალმა მეპატრონემ გაიაროს ცხოველთან გაცნობის და შეგუების მოსამზადებელი პერიოდი, გაეცნოს მეპატრონის უფლება მოვალეობებს. გასხვისებული ცხოველის მეპატრონეს თავშესაფარიან ბიზნეს-ოპერატორი უნდა აცნობდეს კანონს, რომელიც მას ავალდებულებს დაიცვას ცხოველის კეთილდღობის სტანდარტები. თავშესაფრიდან ცხოველების გასხვისების წახალისების მიზნით შემუშავებული უნდა იქნეს შეღავათები, მაგალითად, მეპატრონე გათავისუფლდეს სპეციფიური გადასახადებისგან.

ცხოველის ეუთანაზიის პირობები და წესები იყოს ერთიანი და ეფუძნებოდეს WSPA-ს დოკუმენტს (იხ.დოკუმენტი)

- თავშესაფარებში მოთავსებულ უსახლკარო ცხოველთა მოკვდინების კრიტერიუმები და ვადები - ცხოველის მოკვდინება განსაზღვრული ვადის და წესის მიხედვით, მხოლოდ ჰუმანური მეთოდით, საკარანტინე ვადის მკაცრი დაცვით. მნიშვნელოვანია, რომ ეს ვადა საკმარისი იყოს იმისთვის, რომ ა) დაკარგული ცხოველის პატრონმა მოასწროს მისი მოძებნა, ბ) ადამიანისთვის არასაშიში დაავადების შემთხვევაში ცხოველს მოეძებნოს მზრუნველი პატრონი.
 - ზუსტი დეფინიცია ესაჭიროება ფერმის ცხოველების მოკვდინების სტანდარტებს. სიკვიდილი უნდა იყოს მყისიერი და უმტკივნეულო, უკლებლივ ყველა ცხოველის მოკვდინება უნდა ხდებოდეს ვეტერინარის ცნობის საფუძველზე და მოკვდინების თვისი დაშვებული ადგილის აუცილებლობა, რაც უმკაცრეს რეგულიაციას უნდა აექვემდებარებოდეს. ამ კანონით მიხედვით შეუძლებელი უნდა ხდებდეს და კანონით დასჯადი რიტუალური მკვლელობები, ასეთი ქმედება გათანაბრებული უნდა იყოს ცხოველის მიმართ ჩადენილ სისასტიკესთან, ვინაიდან ეს რიტუალი თავისთავად შეიცავს სისასტიკეს და მის ტირაჟირებას ემსახურება.
 - ბავშვების თანდასწრებით მისი ასრულება უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად.
 -
 - ცხოველების გვამების მოსათავსებელი ადგილები უნდა ითვალისწინებდეს დაავადებათა გავრცელების საფრთხეს და საერთაშორისო სტანდარტებით საუკეთესო გადაწყვეტილებად ითვლება კრემატორიუმი. კრემატორიუმი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სანიტარული ნორმების დაცვის კუთხით, გარდა ამისა, რომ აქ მოთავსდებიან თვასესაფრს ცხოველები კრემატორიუმს სესძლოა ქონდეს შემოსავალი პატრონიანი ცხოველების აგდასხადების სახითაც
5. რაც შეეხება ვეტერინარიის კანონს, მასში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომელიც გაითავალისწინებს ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპებს და გაზრდის ვეტერინართა პასუხისმგებლობას; რაც მთავარია, საჭიროა ვეტერინარიის კოდექსის შეცვლა (ან მიღება), ვეტერინარის, როგორც ცხოველთა მკურნალის სტატუსის მკაფიოდ განისაზღვრა, აუცილებლად მისაღებია ზომები ამ სფეროში განათლების დონის ამაღლების მხრივ - კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, საატესტაციო გამოცდების ფორმატის შემუშავება, ვეტერინარიში არსებული ვიწრო სპეციალობების ჩამონათვაალის მიხედვით.
6. კიდევ ერთი სასწრაფოდ გადასაჭრელი პრობლემა - სრულყოფილი ანესტეზია, როგორც ცხოველებზე ოპერაციის აუცილებელი მოთხოვნა. ვეტერინარული ქირურგიული მომსახურება უნდა ხდებოდეს სრული გაუტკივარებით, რათა თავიდან იყოს აცილებული ცხოველისთვის ტკივილის მიყენების საფრთხე. დღეს მდგომარეობაც არ შეესაბამება ამ

სტანდარტს, ვინაიდან სრული ნარკოზის გამყენება არ არის სავალდებულო და არსებობს საშიშროება, რომ ვეტერინართა ნაწილი არ იყენებს სრულ გაუტკივარებას. ცნობილია, რომ ფართოდ გამოიყენება მიორელქსანტი, რომლის მიწოდების შედეგად ცხოველი ტკივლის გრძნობს, რაც, ჩვენი აზრით უტოლდება წამებას. შესამუშავებელია მექანიზმი, რომ ქირურგ ვეტერინარებს შეაძლებინებს სრული გაუტკივარებით ჩაატარონ ოპერაციები. მეტიც, ისინი ვალდებულები უნდა აიყვნენ ასე იმოქმედონ.

7. კანონი ცხოველთა მოვლა-პატრონობის – დამატება 4

სასწრაფოდ მისაღები კანონები და მათი აღსრულების უზრუნველყოფა - 259 მუხლი (ცხოველებისადმი სისასტიკის შესახებ) საჭიროებს დაზუსტებას და საკმაოდ გამკაცრებას - საჭიროა ზუსტი დეფინიცია, რას ნიშნავს ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, გრადაციების და შესაბამისი სასჯელების განსაზღვრა. ასევე სამართალდამცავი ორგანოები უნდა აიყვნენ ინფორმირებული, რომ ეს კანონი საჭიროებს აღსრულებას. ხშირად სამართალდამცავების მხრიდან ამ მუხლისადმი გულგრილი და აზერელე დამოკიდებულება, თუ კანონის არცოდნა წარმოშობს დაუსჯელობის სინდრომს.

- ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობად ჩაითავლოს ცოცხალი არსების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნების დარღვევის უკიდურესი ფორმები - წყალზე, საკვებზე წვდომის, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა ... (დაწესდეს ამ პირობების ნორმები), ასევე მათი ჯანმრთელობის უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანა ვეტერინარული დახმარების გარეშე, მათი მიტოვება, გაგდება. ამ შემთხვევაში დაწესებული უნდა იყოს მკაცრი ჯარიმები,
- რაც შეეხება 'შემგროვებლობის' სახელით ცნობილ ფსიქიკურ დარღვევას, სადაც ცოცხალი არსების ძირითადი უფლებები უკიდურესად დარღვეულია და ცხოველი უმეტესად განიცდის ტანჯვას, მიზანშეწონილია, კანონი აითვალსწინებდეს ამ ცხოველების ჩამორთმევას, რეციდივის შემთხვევაში კი - ცხოველების ყოლის აკრძალვას.
- ცხოველთა ორთაბრძოლები აიკრძალოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, განიმარტოს, როგორც სასტიკი მოპყრობა დამამძიმებელი გარემოებებით და დაწესდეს იქნას მკაცრი სასჯელი. დღემდე ორტაბრძოლები აკრძალულია მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე, თანაც ადმინისტრაციული სასჯელიც კი არ არის განსაზღვრული. ჩვენ ვითხოვთ ეს ქმედება გაუთანაბრდეს სასტიკ მოპყრობას და იასაჯოს მკაცრად.
ცხოველების წაქეზება ჩხუბზე უნდა ითვალსწინებდეს ჯარიმას. მკაცრ კონტროლს ექვემდებარებდეს ინტერნეტ სივრცეში ვიდეოების განთავსება, მოლაპარაკებები ჩხუბის ჩატარების შესახებ ჩაითვალოს სისასტიკის პროპაგანდად. მიუხედავად იმისა, რომ კანონის 256 მუხლით გათვალისწინებულია სასჯელი, ასეთი ქმედებები საკმაოდ ხშირია.(სიმბა.გე)
- ცხოველის წვრთნა,მისთვის ტკივილის მიყენებით ასევე ჩაითვალოს მასთან სასტიკ მოპყრობად.

ასევე ვითხოვთ აიკრძალოს ცხოველების გამოყენება გასართობ ღონისძიებებში, ცირკში, ატრაქციონებში, რესტორნების წინ. ეს არღვევს მათ ძირითად უფლებას იცხოვროს მისთვის ჩვეულ გარემოში, განახორციელოს მისთვის ბუნებრივი ქცევა და გადაადგლდეს თავისუფლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აილაგმოს ცხოველების გამოყენება ცირკში, ვინაიდან ეს დაკავშირებულია ბავშვების აღზრდის საკითხებთან; მსგავსი სანახაობა ხელს უწყობს ბავშვებში ცოცხალი არსებისადმი გულგრილი, მომხმარებლურ დამოკიდებულების განვითარებას, თავის მხრივ ზიანის მომტანია ბავშვის ფსიქიკისთვის. ბოლო ხანებში თბილისის ცირკში მომხდარმა

შემთხვევამ დაგვანახა, რომ ეს სანახაობა არის სრულიად არაეთიკური და ამავე დროს საკმაოდ დიდ რისკს შეიცავს ადამინისთვის,

რეკლამებში, კინოფილმებში, სატელევიზიო გადაცემებში აიკრძალოს ცხოველებისადმი სისასტიკის სცენების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ქმედებას ეძლევა სათანადო შეფასება (სისატიკე და კანონდარღვევა). ასევე არაეთიკური გამონათქვამები ცხოველთა მიმართ, მათ სიცოცხლის და არსებობის მიმართ უპატივცემულო ან სისასტიკის მოწოდების კონტექსტში.

როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ზოოპარკებისთვის შეიქმნას სიტას სტანდარტების შეფარდებული რეგულაცია; სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მის მფლობელობაში არსებულ ზოოპარკებს, მიუახლოვდნენ ბიო-პარკების სტანდარტებს, ზოოპარკებს გამოეყოთ ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ტერიტორია და ფინანსები.

გამკაცრდეს კონტროლი ბაზარზე,

განსაკუთრებულ შემოფოტებას იწვევს ბაზრობები, ქუჩაში და საავტომობილო ტრასებზე გამოყვანილი ცხოველები. ამ შემთხვევებში დაკისრებული უნდა იყოს ჯარიმები, ცხოველების გაყიდვა დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ ამისთვის განკუთვნილ ადგილებში და შესაბამისი ნორმების დაცვით. ხსენებული ნორმები უნდა ითვალისწინებდეს ამ ცხოველების გალიების ზომებს, ჰიგიენურ პირობებს, ცნობას ჯანმთრელობისა და მფლობელობის შესახებ.

რაც შეეხება ტყვე დათვებს, კანონი მათ დასაცავად არსებობს, მაგრამ ჯარიმა საკმაოდ ღმობიერია, კონტროლი კი არც თუ ისე მკაცრი, გარდა ამისა, სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს ამ დათვების ბედი. ის, რომ ტყვეობიდან დახსნის შემდეგ ეს დათვები ნაწილდებიან თავშესაფრებში და ზოოპარკში, პრინციპულად არ ცვლის მათ მდგომარეობას. ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს დათვების სასარგებლოდ - უნდა გამოიყოს ტერიტორია და თანხები, რათა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შემდგომში მათი ბუნებაში დაბრუნების შესაძლებლობით. სავალდებულოა ამ პროცესში ექსპერტების ჩართვა, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო. მსოფლიოში ამის ძალიან დიდი გამოცდილება არსებობს, ასე რომ სახელმწიფოსგან კეთილი ნების შემთხვევაში ეს პრობლემა არ არის რთული გადასაჭრელი, გამოცდილება და ცოდნა არსებობს. და რაც მტავარია იმისთვის, რომ ამ ტყვე ცხოველების რაოდენობა არათუ არ გაიზარდოს, არამედ საერთოდ გაქრეს გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა ამიღოს ძალიან მკაცრი პრევენციული ზომები, რათა ეს სამარცხვინი პრაქტიკა საქართველოში არ დამკვიდრდეს.

ასევე აუცილებლად ვთვლით, აიკრძალოს წითელ ნუსხაში შესული ცხოველების ტყავის, რქების, ფიტულის და სხვა ნაწარმის გაყიდვა, მათი გამოყენა საჯარო ადგილებში,* რესტორნებში (მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ძველია ეს საგანი) - ყოველივე ეს ჩაითვალოს კანონდარღვევის ტირაჟირებად. დაწესდეს მაღალი ჯარიმები, თუ გამომფენი ვერ წარადგენს დერივატის მოპოვების კანონიერებისა და თარიღის დამადასტურებელ საბუთს.

ასევე ვერ დავეთანხმებით ამ ბოლო დროს დამკვიდრებულ პრაქტიკას, როცა ტყვეობაში მყოფი ჩამორთმეული ცხოველი გადაეცემა კერძო პირს და/ან თავშესაფრებს. პირველი - ეს საკმაოდ საშიშია დაავადებათა გავრცელების მხრივ, მეორე, ეს პრაქტიკა გარკვეულწილად ამართლებს გარეული ცხოველების დატყვევებას, და მესამე, შეიძლება ამგვარმა ქმედებამ გამოიწვიოს მიბადვის სურვილი, გაზარდის ტყვე ცხოველების რაოდენობა, რაც კიდევ ერთ უკან გადადგმული ნაბიჯი

სწორედ ზემოხსენებული თავშესაფარი შეიძლება იქცეს ასეთი ცხოველების გადარჩენის ცენტრად, სადაც მათზე იზრუნებენ სპეცილისტები, გამოცდილი ვეტერინარები და არა უბრალო მოქალაქეები.

1.

სტრატეგიული მიზანი 2

პოპულაციის მართვა და კონტროლი.

.I. განისაზღვროს უფლებამოსილი ორგანო კომპანიონ ცხოველებზე. კომპანიონ ცხოველებზე პასუხისმგებელი ინსტიტუციის ჩამოყალიბება და ამ ინსტიტუციის ფუნქციის ზუსტი დეფინიცია.

.II. ახალშექმნილი ინსტიტუციის მიზნები

მართვის უწყებები: ადმინისტრირება/ინსტიტუციის შექმნა, რომელიც:

- > განახორციელებს კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის კონტროლს, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.
- > შექმნის ისეთ პოლიტიკას და ინსტრუმენტებს, რომელიც უზრუნველყოფს პოპულაციის კონტროლის გრძელვადიან განხორციელებას და ინტეგრირებული იქნება როგორც სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის სანიტარული სამსახურის და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. და ასევე გარემოს დაცვის სფეროსთან;
- > განსაზღვრავს პოლიტიკას, უზრუნველყოფს კანონის აღსრულებას, შეიმუშავებს სტანდარტებს და ინსტრუმენტებს;
- > უზრუნველყოფს პასუხისმგებლობიანი მეპატრონის კანონმდებლობის აღსრულებას;
- > კანონდარღვევის გამოვლინებას და აღკვეთას;
- > განახორციელებს აღრიცხვას, ლიცენზირებას, რეგისტრაციას, აღრიცხვიანობას;
- > პოპულაციის მართვაზე უფლებამოსილ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს დაეხმარება მეთოდოლოგიური მასალით, სპეციალისტთა გადამზადებით, გეგმების დასახვასა და განხორციელებაში.
- > უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარის მათ შორის მოსახლეობის და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას და ინფორმირებულობას.
- > განახორციელებს ამ უწყების დაქვემდებარებაში მყოფი თავშესაფრიდან ცხოველებისთვის ახალი მეპატრონეების მოძიებას და განახორციელებს მათი შემდგომი საცხოვრებელი პირობების და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს

ამ სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად მიღებულ უნდა იქნას პოპულაციის მართვის განახლებული სახელმწიფო გეგმა რომელიც თანამედროვე პრინციპებს დაეყრდნობა. უნდა შეიქმნას დაგეგმვის სისტემის რეგულირების მექანიზმები საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მეშვეობით, რაც სავალდებულო უნდა გახდეს ყველა პასუხისმგებელი სუბიექტისთვის. უსახლკარო ცხოველების პოპულაციის მართვა უნდა წარიმართოს icam დოკუმენტის მიხედვით და wspa მეთოდოლოგიურ დოკუმენტში გაწერილი ქმედებებით.

პრობლემის ზომის და სირთულის ობიექტივაციისათვის პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს ცხოველების სრული აღრიცხვა (პატრონიანი, მიკედლებული, უსახლკარო, მოხეტიალე), ხოლო შემდგომ ეტაპებზე გაგრძელდეს ცხოველების რეგულარული ინდენტიფიკაცია და პოპულაციის კონტროლი.

სახელმწიფო დაფინანსება ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის:

ახლადშექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტის ამოცანა უნდა გახდეს პოპულაციის მართვის მიზნით გამმრავლებლების სავალდებულო აღრიცხვა და ლიცენზირება, პატრონიანი და უპატრონო ცხოველების რეგისტრირება. ამას გარდა, უწყების მიერ აღრიცხვა, მდგომარეობის შეფასება და ხარჯების და სტრატეგიის განხორციელების ბიზნეს გეგმის შემუშავება.

ახლადშექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ ლიცენზირების, ჩიპირების, რეგისტრაციის გადასახადის გზით შემოსავლების მიღება. (გადასახადის დიფერენციაცია ხდება ცხოველის ჯიშის და სტატუსის მიხედვით, ნაყიდი, ქუჩიდან ან თავშესაფრიდან აყვანილი ძაღლი, ან კატა). ანგარიშის მომზადება პრობლემის შესახებ და მოსალოდნელ შედეგებზე.

უნდა ხდებოდეს სტრატეგიის დასახული ამოცანების განხორციელებლობის მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ მოწყვლადი ჯგუფების ინფორმირებულობა. უწყება მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გადიოდეს კონსულტაციებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან. არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო ორგანოს საქმიანობის მონიტორინგის და მათ საქმიანობაში მოხალისეების ჩართვის უფლება.

სახელმწიფოს ფუნქციები:

აუცილებელია ახლად შექმნილი მართვის უწყების უზრუნველყოფა კადრებითა და ტექნიკური საშუალებებით, ასევე მათო ფროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა ფუნქციების ეფექტიანად შესრულება , მათ შორის:

მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოს დაარსებისა და შემდგომი განვითარების გეგმის, მათ შორის, კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების ბიუჯეტის, ტექნიკური დახმარებისა და ინდიკატური ფინანსური ან ბიზნესგეგმის, მომზადება და განხორციელება.

შეთანხმება მდგრად დაფინანსებაზე საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო წყაროებიდან (შემოსავალი ბიზნეს ოპერატორებიდან, კერძო მფლობელებიდან რეგისტრაციიდან, ჯარიმები)

განათლება და მეცნიერება:

იზრდება ფერმერული მეურნეობის ასევე კომპანიონი ცხოველების მფლობელების რიცხვი, ამიტომ გაჩნდა ცნობიერების ამაღლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა. ვეტერინარიაში და ცხოველთა კეთილდღეობის საკითხებში მაღალკვალიფიციური მომსახურეობის და თანამედროვე ეროვნული გამოცდილების განვითარებისთვის აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს (სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები) და ცხოველებთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართულ სამთავრობო უწყებებს შორის.

ცხოველების კეთილდღობის მართვისა და დაცვის ეროვნული დონის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწყებითი და საშუალო დონის საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართვა ახალგაზრდა თაობისთვის ცხოველთა კეთილდღობის მნიშვნელობის

ახსნაში. სასურველია, რომ საჯარო სკოლებში მოსწავლეებს მიეწოდებოდეთ საწყისი ცოდნა ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპების შესახებ. სპეციალიზირებულ საუნივერსიტეტო საბუნებისმეტყველო პროგრამებში საათების საკმარისი რაოდენობა უნდა ეთმობოდეს საველე სამუშაოს რომელიც ცხოველთა კეთილდღეობის საკითხებს შეეხება.

სპეციალური განათლება ვეტერინარიასა და ცხოველთა კეთილდღეობის დარგში უნდა მოიცავდეს: პროფესიულ განათლებასა და მოკლევადიან კურსებს დასაქმებული პერსონალისთვის, რომლებსაც შესთავაზებენ უნივერსიტეტები, ცხოველთა პოპულაციების მართვის ორგანოები ან ორივე; ცხოველთა მეცნიერების / ინჟინრების / ეკონომისტების უმაღლეს განათლებას (მაგისტრის დონეზე).

სახელმწიფო და საგანმანათლებლო ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს პროფესიული გამოცდილების განახლებადობას, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების თანამედროვე დონეზე განხორციელებას ცხოველთა კეთილდღეობის სფეროში

ასევე აუცილებელია თანამედროვე დონისა და საერთაშორისო პუბლიკაციაზე ორიენტირებული კვლევითი პროექტების განხორციელება. პროფესორებისა და ლექტორების პროფესიული ცოდნის უწყვეტი განახლება თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში და სტუდენტების ჩართვა კვლევით პროექტებში.

მოსახლეობასთან მუშაობა:

ასევე ჩასატარებელ სამუშაოებში უნდა შედიოდეს მოსახლეობის ინფორმირება, დროული ინფორმაციის მიწოდება, ახსნა განმარტებები. ამისთვის უნდა გამოიყენონ მედია სიცრვე, სკოლები, საბავშვო ბაღები, თვითმართველობების ჩართულობა. კარგად გააზრებული საინფორმაციო კამპანია უკვე საქმის წარმატების საწინდარია.

ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებული უნდა იყოს უზრუნველყოფოს ცხოველთა პოპულაციის მართვის ჰუმანური მეთოდების განხორციელება, რისთვისაც სახელმწიფოს მხრიდან მათ დასჭირდებათ ხელშეწყობა მეთოლოგიური ლიტერატურით და სპეციალისტების გადამზადების კუთხით. რაიონში არსებული ვეტერინარები უნდა ფლობდნენ სტერილიზაცია-კასტრაციის თანამედროვე მეთოდს. ამისათვის მათ გავლილი უნდა ქონდეთ გადამზადების ტრენინგი და ფლობდნენ თეორიულ ცოდნას ამ მეთოდის უპირატესობის შესახებ. ასევე აუცილებელია მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა გადაწყვეტილებებს მიღების პორცესში.

ასევე სავეტერინარო ფაკულტეტებზე აუცილებელ საგნად უნდა ისწავლებოდეს ცხოველთა კეთილდღეობა, ხოლო კურსდამთავრებულ ვეტერინარს მოეთხოვოს იცნობდეს ცხოველთა კეთილდღეობის ძირითად პრინციპებს.

ცნობიერების დონის ამაღლების აუცილებლობა

ცხოველი, როგორც ურბანული, ასევე რურალური გარემოს განუყოფელი ნაწილია. საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ასახული ფერმერული და კომპანიონი ცხოველების შეფასება მათი კეთილდღეობის კუთხით. ამჟამინდელი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება და მისი პროცედურები ამცირებს ფერმის და კომპანიონი ცხოველის, როგორც ჩვენი

გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტის ფასეულობის სრულად აღქმას. ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძიმებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის და მათი ინფორმირებულობის დაბალი დონე.

ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებულ დარგებზე და იმ სხვა დარგების პოლიტიკაზე, რომლებიც შეხებაშია ცხოველთა კეთილდღეობასთან, არ არიან სათანადოდ ინფორმირებული ამ საკითხის მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე საკუთარი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების ცხოველთა ამ ჯგუფზე ზემოქმედებაზე. ამ პრობლემის მოგავრება შესაძლებელია მხოლოდ განათლებისა და კომუნიკაციის დონის ამაღლებით.

პრობლემატურია მოსახლეობის ცნობიერების დონეც. ადამიანი მომხმარებლური კულტურის (კონზუმერიზმის) განვითარების პორცესში სულ უფრო მეტად სცილდება გარემოს, მის ფაუნას, რაც უარყოფითად აისახება მის დამოკიდებულებაზე და პასუხისმგებლობის გრძნობაზე მოწყვლადი ცოცხალი არსებების მიმართ. ასეთი გაუცხოება იწვევს აგრესიის მომატებას ახალგაზრდებში, სისასტიკეს და დაუნდობლობას ყოველი ცოცხალი არსების მიმართ, რომელსაც მათი აზრით არ აქვს რაიმე გამოყენებითი ღირებულება. ამიტომ საჭიროა საგანმანათლებლო სფეროს ყველა საფეხურზე გარემოს დაცვით საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი იქნას ცხოველთა კეთილდღეობის საკითხები.

აუცილებელი ცვლილებებისა და კანონმდებლობით დასარეგულირებელი საქმიანობის შესახებ იხილეთ დამატებები ქვევით.

- 1.
2. კანონი ცხოველების მიმართ სისასტიკის წინააღმდეგ – დამატება 1
3. კანონი მიუსაფარ ცხოველთა მოვლა პატრონობის შესახებ – დამატება 2
4. კანონი ვეტერინარიის შესახებ – დამატება 3
5. ეგზოტიკური ცხოველებით ვაჭრობის რეგულაცია დამატება 4

1. კანონების ვადების მითითება.
2. დიღმის ბაზრობის კონტროლი. ნარმანია.
3. ასევე ჩიტების მარკირება. რეგისტრაცია, დარგოლვა.

1. ინსტიტუციის განსაზღვრა.
2. აქტი.
3. მაკონტროლებელი ორგანო - ზედამხვედველობა.
4. კეთილდღეობის აქტი.
5. კანონების ჩამატება.
6. დერივატი. სიტესის კონვენციას მიერთებული არის ტუ არა.
1. განსაზღვრება პატრნიორი ცხოველი, მიკედლებული, პატრონიანი, უსახლკარო, ურბანული ცხოველების სტატუსის განსაზღვრა. და სია.

ჰუმანურ პრინციპების ჩამატება.
უმუზნო ტკივილი.
ცხოველებზე ექსპერმინტები.სანდრო.
უმუზნო ტკივილის შეცვლა.